

მელიც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ხელშეწყობით და რეკომენდაციებით ხორციელდება.

8. ბანკების ბიზნესპროცესების რეინჟინინგი და ორგანიზაციული სტრუქტურის ტრანსფორმაცია. ყველა ზემოაღნიშნული უმნიშვნელოვანესი თუ სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი ტენდენციის, ყველაზე მეტად კი ტექნოლოგიური რევოლუციის ზეგავლენით საფუძვლიანად შეიცვალა არა მარტო საბანკო ინფორმაციის გაცვლა, არამედ თვითონ ბიზნესპროცესები, მათი მიმდინარეობა და განხორციელების დრო, ასევე გაჩნდა ახალი ოპერაციები და მომსახურების სახეობები. რეინჟინინგის მიზანს წარმოადგენს არა არსებული პროცედურების ეფექტიანობის გაუმჯობესება, არამედ მათი მნიშვნელოვანი ნაწილის სრულად გარდაქმნა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტი ოპერაციები. გარემო პირობების ცვლილებები იმდენად სწრაფი და ყოვლისმომცველი იყო, რომ ითხოვდა ბანკების სტრუქტურისა და, შესაბამისად, ბიზნესპროცესების კარდინალურ ცვლილებებს. ფაქტობრივად, დროის ძალიან მცირე პერიოდში ბანკებში ხდებოდა სრულიად ახალ სტრუქტურის, ახალი ბანკის ჩამოყალიბება. ბანკის მართვის პროცესების დიდმა ნაწილმა ვირტუალურ, კომპიუტერულ სამყაროში გადაინაცვლა. ბანკის ბიზნესპროცესების რეინჟინინგმა არა მარტო მნიშვნელოვნად შეამცირა ბანკების დანახარჯები, არამედ უფრო ეფექტიანი და მოქნილი გახადა აქტივ-პასივებისა და მათთან თანმდევი რისკების მართვა.

მსოფლიო წამყვანი ეკონომიკის ქვეყნების საბანკო საქმიანობისათვის დამახასიათებელი ტენდენციები საქართველოს რეალობისათვის მეტ-ნაკლებად არის ნიშანდობლივი, ვინაიდან იგი ჯერჯერობით განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების რიგში დგას და მის მდგომარეობაზე გავლენას ახდენს როგორც მსოფლიო ტენდენციები, ასევე ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის კომერციული ბანკის საქმიანობის არსი?
2. რა განმარტებასა და ინტერპრეტაციას აძლევს საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კომერციული ბანკის არსს?
3. რა თავისებურებები ახასიათებს კომერციული ბანკის საქმიანობას, რაც ნათელს ჰფენს მის არსს?

4. რა იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ბანკი არის კომერციული საწარმო?
5. რა შეიძლება ითქვას ძირითად საბანკო პრინციპებზე?
6. რას წარმოადგენს კომერციული ბანკის მოზიდული რესურსების პრიორიტეტულობის პრინციპი?
7. რა არის კომერციული ბანკის, ერთი მხრივ, ეკონომიკური დამოუკიდებლობის, მეორე მხრივ კი, რეგულაციის ობიექტად ყოფნის პრინციპი?
8. რა ტრანსფორმაცია განიცადა ბანკების მომხმარებლებთან საბაზრო ურთიერთობების პრინციპმა სოციალისტურიდან საბაზრო სისტემაზე გადასვლის შემდეგ?
9. რა შეიძლება ითქვას კომერციული ბანკების ფუნქციებზე?
10. რა ახსნა შეიძლება მიეცეს კომერციული ბანკის საკრედიტო ურთიერთობების დროს შუამავლობის ფუნქციას?
11. რა განსხვავება არსებობს საბანკო პროდუქტს, საბანკო მომსახურებას, საბანკო ოპერაციას ან საბანკო საქმიანობის სახეობებს შორის?
12. საქართველოს კანონმდებლობით, კომერციული ბანკებისათვის საბანკო საქმიანობის რომელი სახეობებია ნებადართული?
13. კომერციული ბანკების ოპერაციების რომელი სახეობები არსებობს?
14. რა არის კომერციული ბანკის პასიური ოპერაციების არსი და მისი როგორი ფორმები არსებობს?
15. რა შეიძლება ითქვას კომერციული ბანკის აქტიურ ოპერაციებზე და მისი როგორი ტიპები არსებობს?
16. რითია განპირობებული თანამედროვე საბანკო საქმიანობის განვითარების ტენდენციები?
17. თანამედროვე საბანკო საქმიანობის განვითარების ტენდენციების რომელი მიმართულებები იცით?
18. რა შედეგები მოუტანა ტექნოლოგიურმა რევოლუციამ ბანკინგში როგორც ბანკებს, ისე საზოგადოებას?
19. როგორ გამოიხატება ფინანსური ბაზრების დერეგულირებისა და საბანკო კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენცია თანამედროვე ბანკინგში და რამ განაპირობა იგი?
20. რომელი ახალი რეალობის წინაშე დააყენა კომერციული ბანკები ახალი საბანკო პროდუქტების წილის ზრდამ ტრადიციული მომსახურების წილის შემცირების ხარჯზე?
21. რაში გამოიხატება საინვესტიციო ბანკინგის განვითარება, როგორც ახალი ტენდენცია საბანკო საქმეში?

22. რას გულისხმობს სტრატეგიულ საბანკო მენეჯმენტში ბანკის საბაზრო ღირებულების ზრდის პრიორიტეტულობა?
23. რას წარმოადგენს ბანკების ბიზნესპროცესების რეინჟინინგი და ორგანიზაციული სტრუქტურის ტრანსფორმაცია?